ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგების შესახებ

ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებისათვის სასწავლო კურსითა და პედაგოგით კმაყოფილება გამოთქვა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ. შეფასებების მნიშვნელოვანი ნაწილი არის 4 ქულაზე მაღალი, შეფასებები ძირითადად მერყეობს 4-დან 5 ქულამდე. ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით შეფასება აღმოჩნდა 2,5 ქულაზე დაბალი. სტუდენტთა მიერ გაკეთებულ კომენტარებში გვხვდება ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისებიც ერთიდაიგივე პედაგოგისა თუ სასწავლო კურსის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ შეფასებები გასაცნობად და რეაგირებისთვის ინდივიდუალურად გადაეცათ პროფესორ მასწავლებლებს.

განხორციელდა მიღებული მონაცემების დაჯგუფება და დამუშავება ცალკეული კურსებისა და კათედრების მიხედვით.

წარმოგიდგენთ, სტუდენტთა კომენტარების მიხედვით გამოვლენილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას:

- *სტუდენტთა კომენტარების დიდი ნაწილის მიხედვით საჭიროა სასწავლო ლიტერატურის გაუმჯობესება. სტუდენტები მოითხოვენ უახლესი მასალებით გამდიდრებულ და გადამუშავებულ ახალ სახელმძღვანელოებს; საქართველოს რეალობიდან გამომდინარე პრაქტიკული მაგალითების ჩართვას სალექციო კურსებში; მიწოდებული სალექციო მასალების აზრობრივად და სტილისტურად გამართვას.*
- *კომენტარების მიხედვით, საჭიროა მთელ რიგ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდების გაუმჯობესება. კერძოდ, სტუდენტების სურვილია, პრაქტიკული ამოცანებითა და სავარჯიშოებით, კონკრეტული შემთხვევების ანალიზით (ე.წ. case studies) და ეკონომიკური თუ ბიზნეს-ქეისების განხილვებით სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობათა კიდევ უფრო მეტად გამდიდრება;*
- *კომენტარების მიხედვით, საჭიროა მთელ რიგ სასწავლო კურსებში უფრო მრავალფეროვანი შეფასების მეთოდების გამოყენება, კერძოდ, სტუდენტების სურვილია, ნაკლებად იყოს გამოყენებული სემინარის მოყოლით ჩაბარების მეთოდი. სტუდენტები ასევე მოითხოვენ ზოგიერთ საგანში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატის ცვლილებას.*
- *სტუდენტთა კომენტარებით, ცალკეულ საგნებში გამოცდების ორგანიზების საკითხები და შეფასების კრიტერიუმები დახვეწას საჭიროებს.*

- *სტუდენტების აზრით, საჭიროა გაიზარდოს ცალკეული სასწავლო კურსის საათები სალექციო, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის.*
- *ზოგიერთი სასწავლო კურსში სთუდენტები ითხოვენ სასწავლო მასალისა და საგამოცდო საკითხების გამარტივებას, თემატიკის გადახედვასა და გამდიდრებას;*
- *სტუდენტთა კომენტარების ნაწილში აღნიშნულია ზოგადად სასწავლო გარემოს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება.*

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საშუალო ქულა სტუდენტთა გამოკითხვის მიხედვით




ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება
1.55%
11.63%
86.82%
0 - 2,5 ქულა
2,6 - 3,9 ქულა
4,0 - 5,0 ქულა


ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
2.27%
11.36%
86.36%
0 - 2,5 ქულა
2,6 - 3,9 ქულა
4,0 - 5,0 ქულა